

**სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოება  
(National and International Security)**

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი  
(Master of Security Studies)**

**სწავლების ენა** - ქართული (პროგრამის ინდივიდუალური სასწავლო კურსები - სავალდებულო და არჩევითი - ხორციელდება ინგლისურ ენაზე)

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** - პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც:

1. გადალახავს ზღვარს საერთო სამაგისტრო გამოცდებზე (A-ტესტი);
2. წარმატებით გაივლის შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრებას (დაასაბუთოს პროგრამაზე სწავლის გაგრძელებისათვის საჭირო მოტივაციას);
3. ფლობს ინგლისურ ენას B2-ის დონეზე (დასტურდება ინგლისურ ენაში შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის შედეგებით ან შესაბამისი დონის ფლობის დამატატურებელი საერთაშორისო სერთიფიკატით).

პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც უგამოცდოთ მოიპოვებს სწავლის უფლებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და:

1. წარმატებით გაივლის შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრებას (დაადასტურებს პროგრამაზე სწავლის გაგრძელებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ფლობას);
2. ინგლისურ ენას B2-ის დონეზე (დასტურდება ინგლისურ ენაში გასაუბრების შედეგებით ან შესაბამისი დონის ფლობის დამატატურებელი საერთაშორისო სერთიფიკატით).

პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ასევე მაგისტრანტს, რომელიც ჩაირიცხება პროგრამაზე სხვა უსდ-დან გადმოსვლის წესით საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად.

**პროგრამის სწავლის ხანგრძლივობა და მოცულობა კრედიტებით** - 4 სემესტრი; 120 კრედიტი

**პროგრამის სტრუქტურა - სავალდებულო კომპონენტები - 102 კრედიტი, მათ შორის:**

- ┌ სავალდებულო სასწავლო კურსები - 69 კრედიტი
  - ┌ საწარმოო პრაქტიკა - 6 კრედიტი
  - ┌ სამაგისტრო ნაშრომი - 27 კრედიტი
- არჩევითი კომპონენტი - 18 კრედიტი**

**პროგრამის აქტუალობა** - ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის აქტუალობა რამდენიმე კომპონენტითაა განპირობებული. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ მოცემულ პროგრამას არ გააჩნია ანალოგი საქართველოში. არ არსებობს სხვა სამაგისტრო პროგრამა, რომელზეც სტუდენტებს ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების კომპლექსურად შესწავლის შესაძლებლობა გააჩნიათ, რაც ამ პროგრამის უნიკალურობაზე მეტყველებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის სწავლების მეთოდიკა ჰოლისტიკურ მიდგომას ეფუძნება, რაც უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებთან ერთად, პოლიტიკური იდეოლოგიების, ლიდერობისა და ეკონომიკის სწავლებას გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, აღნიშნულ პროგრამას მეტად საინტერესოსა და, როგორც პოტენციური დამსაქმებლებისათვის, ასევე დასაქმებულებისათვის, მომავლში გამოსადეგს ხდის. გაზგასანმელია, რომ საქართველოს სახელმწიფოს წინაშე არსებული უსაფრთხოების გამოწვევებიდან გამომდინარე, ეროვნული და

საერთაშორისო უსაფრთხოების სწავლება უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარებისათვის.

პროგრამა ემყარება დასავლეთის უნივერსიტეტებში ანალოგიური პროგრამების განხორციელების გამოცდილებას.

#### **პროგრამის მიზნებია:**

1. ტრადიციული და ინოვაციური სწავლების მეთოდების გამოყენების გზით, უსაფრთხოების სფეროში, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომზადება;
2. სტუდენტებმა შეისწავლონ ეროვნულ და საერთაშორისო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ფუნდამენტური საკითხები და შეიძინონ სფეროში საქმიანობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
3. სწავლების ჰოლისტიკური და მულტისექტორული მიდგომის გზით, სტუდენტებმა განსაზღვრონ და გააანალიზონ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნისა და წარმოების უმნიშვნელოვანესი კომპონენტები;
4. სტუდენტებმა გააცნობიერონ უსაფრთხოების სექტორის როლი სახელმწიფოს მართვის სისტემაში;
5. სტუდენტებმა გააცნობიერონ და შეისწავლონ უსაფრთხოების სფეროში გადაწყვეტილების მიღების პროცესის ფორმალური და შინაარსობრივი კომპონენტები, სისტემის მართვის რგოლები და ფუნდამენტური დოკუმენტები;
6. სტუდენტებს ჩამოუყალიბდეთ სტრატეგიული აზროვნება;
7. სტუდენტებმა განსაზღვრონ და გააანალიზონ ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის წინაშე არსებული ტრადიციული და თანამედროვე რისკები და საფრთხეები და გააცნობიერონ რისკების მართვისა და გამოწვევებთან გამკლავების მექანიზმები;
8. სტუდენტებმა შეძლონ, საქართველოს უსაფრთხოების გარემოს შეფასება და ანალიზი;
9. სტუდენტებმა გაიაზრონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეთიკური სტანდარტების, ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის დაცვისა და პატივისცემის მნიშვნელობა.

#### **პროგრამის სწავლის შედეგები:**

1. უსაფრთხოების სფეროს თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით, კრიტიკულად იაზრებს ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების შემადგენელ კომპონენტებს და უსაფრთხოების სექტორის როლს სახელმწიფოს მართვის მექანიზმში, აღწერს საქართველოს უსაფრთხოების გარემოს, გამოკვეთს და გლობალურ კონტექსტში წარმოაჩენს სახელმწიფოს წინაშე არსებულ უმთავრეს საფრთხეებს, რაც ორიგინალური იდეების და მიდგომების ფორმირებისა და განვითარების წინაპირობაა;
2. ახდენს ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში არსებულ კომპლექსურ პრობლემათა იდენტიფიცირებას, პოლიტიკის მიზნის განსაზღვრას, შეფასების კრიტერიუმების კლასიფიცირებას, ალტერნატივების სახელდებლას, აღწერას, შედეგების პროგნოზირებასა და შეფასებას;
3. კრიზისულ და უცხო გარემოში შეიმუშავებს ალტერნატიულ გადაწყვეტილებებს და მათგან შეარჩევს ოპტიმალურ ვარიანტს;
4. ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროს პრობლემატური საკითხების გადასაწყვეტად კრიტიკულად აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას ტრადიციული და თანამედროვე წყაროების აკადემიური კეთილსინდისიერების საუკეთესო სტანდარტების დაცვით და კვლევის თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენებით;
5. კომპლექსური ანალიზის საფუძველზე განსაზღვრავს ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სექტორზე გავლენის მქონე ფაქტორებს და რელევანტურ არგუმენტებზე დაყრდნობით, ინფორმაციის შეჯერების და შეფასების გზით აკეთებს ვადილურ დასკვნებს;

6. იცავს ანგარიშვალდებულების, სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკური ღირებულებითი სტანდარტების ფუნდამენტურ პრინციპებს;
7. აკადემიურ და პროფესიულ გარემოში მკაფიოდ აყალიბებს საკუთარ, კარგად სტრუქტურირებულ პოზიციას, მათ შორის სპონტანურ ვითარებაში, საკუთარ მოსაზრებაზე პასუხისმგებლობისა და სხვისი აზრის პატივისცემის განცდით;
8. რთული ამოცანის გადასაჭრელად, თანამედროვე სტრატეგიული მიდგომების გამოყენებით, ხელმძღვანელობს სამუშაო ჯგუფს, განახორციელებს ჯგუფის წევრების საქმიანობაზე ზედამხედველობას და ზრუნავს მათი აკადემიური შესაძლებლობების განვითარებაზე;
9. დამოუკიდებლად სრულყოფს საკუთარ ცოდნას და ხელს უწყობს ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში პროფესიული საქმიანობის განვითარებას რეკომენდაციებითა და ინიციატივებით.

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები** - სწავლების პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომელიც სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფს უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის და უნარების მიღწევას. ესენია:

ახსნა-განმარტებითი მეთოდი

გონებრივი იერიში

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)

სწავლა სწავლებით

ე.წ. სოკრატეს მეთოდი

საექსპერტო შეფასების მეთოდი

სხვა მეთოდები

**შეფასების სისტემა** - სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის №3 ბრძანებით განმტკიცებული სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა. შეფასებათა მაქსიმალური ჯამური ქულა უდრის 100 (ასს), შესაბამისად მაქსიმალური დადებითი შეფასება 100 ქულაა, ხოლო მინიმალური დადებითი შეფასება არის 51 ქულა.

*სასწავლო კომპონენტში სტუდენტთა მიღწევების შეფასებისათვის გამოიყენება:*

ქულა	შეფასება	
91-100	<b>A</b>	ფრიადი
81-90	<b>B</b>	ძალიან კარგი
71-80	<b>C</b>	კარგი
61-70	<b>D</b>	დამაკმაყოფილებელი
51-60	<b>E</b>	საკმარისი
41-50	<b>Fx</b>	ვერ ჩააბარა
0-40	<b>F</b>	ჩაიჭრა

*სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში სტუდენტთა მიღწევების შეფასებისათვის გამოიყენება:*

ქულა	შეფასება
91-100	ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი
81-90	ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება
71-80	კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება

61-70	საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს
51-60	დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს
41-50	არადამაკმაყოფილებელი (insufficenter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს
0-40	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს

**დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა** - სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ პროფესიული საქმიანობის განხორციელებას როგორც უსაფრთხოების სფეროში მომუშავე კერძო, ასევე საჯარო ორგანიზაციებში. ასევე სწავლის გაგრძელებას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

**პროგრამის ხელმძღვანელი:**  
 ვასილ სიხარულიძე, თოუ-ის ასოცირებული პროფესორი  
**პროგრამის თანახელმძღვანელი:**  
 გიორგი ლემონჯავა, თოუ-ის ასოცირებული პროფესორი